## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №20/20

ქ. ბაღდათი 18 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)ი.პ. „ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი (შემდგომში - "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბიძინა ჯაბიძის სახით (ქალაქ ბაღდათი, ნინოშვილის #6 ) და შპს ორგსერვისი ს/კ 212693851 (შემდგომში "მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია CPV39100000 შესყიდვა წინამდებარე ხელეშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული მეთოდით.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია წარმომადგენლობითი შესყიდვა

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე ადგენს 4520 ლარს

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბაღდათი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში..

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი ბაღდათი

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს
დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესყიდვების სპეციალისტი.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**
ა.ა.ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი
ქ. ბაღდათი, ნინოშვილის ქ.№6
ს/კოდი 225068039
კოდი TTREEGE22
ერთიანი სახაზინო ანგარიში
ანგ.

დირექტორი: /ბიძინა ჯაბიძე/

**მომწოდებელი:**
შპს ორგსერვისი ს/კ 212693851
ს/კ 212693851
მფო MIBGGE22
ა/ა GE28PC0133600100067722
დირექტორი
ნინო ნემსაძე --------------------

ინტერესთა კომპლიქტი

18 დეკემბერი 2020 წელი

მე, ა.ა.ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის დირექტორი ბიძინა ჯაბიძე არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში შპს ორგსერვისის წარმომადგენლის ნინო ნემსაძის მიმართ, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

ა.ა.ი.პ. ბაღდათის სპორტისა და
მოზარდთა აქტივობის ცენტრის
დირეწტორი: /ბ.ჯაბიძე/

225068039

ხელშეკრულების დანართი N1

| # | მომსახურების დასახელება | CPV | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაგიდა CK-1 125*60*75 | 39100000 | 5 | 225 | 1125 |
| 2 | კარადა1800 SAKETIt | 39100000 | 2 | 245 | 590 |
| 3 | სავარძელი საოფისე 618/C | 39100000 | 6 | 185 | 1110 |
| 4 | სკამისაოფისე 6009 | 39100000 | 1 | 160 | 160 |
| 5 | სკამი საოფისე 810-1/S | 39100000 | 3 | 150 | 450 |
| 6 | საოფისე სკამი BL-752 | 39100000 | 1 | 375 | 375 |
| | კარადა საოფისე 220-75-35 | 39100000 | 1 | 565 | 565 |
| | კარადა 1800 საკეტით | 39100000 | 1 | 245 | 245 |
| | ჯამი | | | | 4520 |

შემსყიდველი:
ა.ა.ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი
ქ. ბაღდათი, ნინოშვილის ქ.№6
ს/კოდი 225068039
კოდი TTREEGE22
ერთიანი სახაზინო ანგარიში
ანგ.

დირექტორი: /ზიძინა ჯაბიძე/

მომწოდებელი:
შპს ორგსერვისი ს/კ 212693851
ს/კ 212693851
მფო MIBGGE22
ა/ა GE28PC0133600100067722
დირექტორი
ნინო ნემსაძე --------------------

# ინვოისი

N 00000002947
18 დეკემბერი 2020

**გამგზავნი**

შპს ორგსერვისი

| | |
|---|---|
| ს/ნ: | 212693851 |
| მისამართი: | ქუთაისი, გამსახურდიას მე-3 ჩიხი 2ბ |
| ელ. ფოსტა: | info@orgservice.ge |
| ტელეფონი: | 032 204 11 00 |

| | |
|---|---|
| ვალუტა: | GEL |
| კურსი: | 1.0000 |

**მიმღები**

ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი

| | |
|---|---|
| ს/ნ: | 225068039 |
| მისამართი: | |
| ელ. ფოსტა: | |
| ტელეფონი: | |

* გასაყიდი საცალო

| N | დასახელება | არტიკული | რაოდენობა | | ფასი | თანხა | დღგ | თანხა დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაგიდა CK-1 125*60*75 | 13002/GG | 5.00 | ცალი | 225.00 | 1 125.00 | 171.61 | 1 125.00 |
| 2 | კარადა 1800 საკეტით | 10001/GG | 2.00 | ცალი | 245.00 | 490.00 | 74.75 | 490.00 |
| 3 | სავარძელი საოფისე 618/C | 618/C/SAVAR | 6.00 | ცალი | 185.00 | 1 110.00 | 169.32 | 1 110.00 |
| 4 | სკამი საოფისე 6009 | 6009/SAVAR | 1.00 | ცალი | 160.00 | 160.00 | 24.41 | 160.00 |
| 5 | სკამი საოფისე 810A/S | 810A/SAVAR | 3.00 | ცალი | 150.00 | 450.00 | 68.64 | 450.00 |
| 6 | საოფისე სკამი BL-752 | 752BL | 1.00 | ცალი | 375.00 | 375.00 | 57.20 | 375.00 |
| 7 | კარადა საოფისე 220-75-35 | 10008/GG | 1.00 | ცალი | 565.00 | 565.00 | 86.19 | 565.00 |
| 8 | კარადა 1800 საკეტით | 10001/GG | 1.00 | ცალი | 245.00 | 245.00 | 37.37 | 245.00 |
| | სულ | | | | | 4 520.00 | 689.49 | 4 520.00 |

| | |
|---|---|
| სულ ჯამი: | 3 830.51 |
| დღგ-ს თანხა: | 689.49 |
| სულ თანხა დღგ-ს ჩათვლით: | 4 520.00 |

საბანკო რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| მიმღები: | შპს ორგსერვისი |
| ბანკი: | სს პროკრედიტ ბანკი, საქართველო |
| ანგარიშის #: | GE28PC0133600100067722 |
| ბანკის კოდი: | MIBGGE22 |

* გადმორიცხვის შესრულებისას დანიშნულებაში მიუთითეთ ინვოისის ნომერი
* გთხოვთ დოკუმენტში მითითებული თანხა გადმორიცხოთ შეთანხმებულ ვადაში.

პასუხისმგებელი პირი: ნინო ნემსაძე

ხელმოწერა